



# ხალგაზრდა ვეროვლი

გაზეთი გამოდის  
1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

## მიმართვა

### აფხაზი ხალხმსაღმი

ძვირფასო თანამემამულენო!  
— აფხაზთა და ქართველთა ძმობა უხსოვარი დროიდან იწყება. ჩვენი საერთო კოლხური წარმოშობა, გენეტიკური ნათესაობა ჩვენს ხალხებსა და ენებს შორის, საერთო ისტორია, საერთო კულტურა გვაკავშირებს დღეს დიდ დაფიქრებას ჩვენი ხალხების მომავალ ბედ-იბაბულზე. ჩვენ ერთ მიწა-წყალზე ვცხოვრობდით მუდამ და ერთმანეთის კირ-ვარამს ვიზიარებდით. ჩვენ საერთო სამეფო ვგვლინდით საუკუნეთა განმავლობაში, ერთ ტაძარში ვვლიტულობდით და ერთ ბრძოლის ველზე ვიბრძოდით საერთო მტრების წინააღმდეგ.

უძველესი აფხაზური გვარების წარმომადგენლები დღესაც არ ასხვავებენ ურთიერთისაგან აფხაზსა და ქართველს. აფხაზთა მთავრები შერვაშიძეები, საკუთარ თავს არა მხოლოდ აფხაზ, არამედ ქართველ თავადებსაც უწოდებდნენ, ქართული ენა აფხაზურთან ერთად მათთვის დედა ენა იყო, ისევე როგორც იმ-ჟამინდელი აფხაზი მწერლებსათვის. „ვეფხისტყაოსნის“ კულტურა გვაკავშირებდა ჩვენ და უძველესი ქართული ტაძრები, ძველი ქართული წარწერებით დაშვენებული, დღესაც რომ დგანან აფხაზეთში და ხიბლავენ მზახველს, ჩვენს შორის იყო გადებული თამარის ხიდი მდინარე ბესლეთზე, სოხუმის მახლობლად, დღესაც რომ ამშვენებს უძველესი ქართული წარწერა. ბედი და მოქვე, ამბარა, ბიჭვინთა და მრავალი სხვანი მოწმენი არიან ამ ძმობისა, ამ ერთობისა.

აფხაზი მუდამ ამაღლებული, რაინდული კეთილშობილების სიმბოლო იყო ქართველის ცნობიერებაში. ამას მოწმობს აკაკის „გაბრძნული“ და სხვა მრავალი შედევრი ქართული მწერლობისა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სწორედ ქართველმა მწერალმა კოსტანტინე გამსახურდიამ კიდევ მეტად გაუთქვა სახელი მთელს ქვეყანაზე აფხაზურ კულტურას და ყოფას, აფხაზი ხალხის გმირობას და კეთილშობილებას თავისი „მთვარის მოტაცებით“. ქართველმა მეცნიერებმა ნიკო მარამ, არნოლდ ჩიქობავამ, ქეთევან ლომთათიძემ გადამწყვეტი როლი შეასრულეს აფხაზოლოგიის დაფუძნებაში, აფხაზური ენის გრამატიკის სისტემატიზაციის საქმეში, ქართველმა ისტორიკოსებმა ივანე ჯავახიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა და სხვებმა კი — აფხაზეთის ისტორიის საკვანძო საკითხების კვლევაში, ხოლო აფხაზები ყოველთვის დიდ როლს ასრულებდნენ ჩვენი საერთო სამეფოს განმტკიცებასა და კულტურულ აღმშენებლობაში.

ჩვენ მრავალი იმპერიის შემოტევას გაუძეველით, ჩვენი ძმობა და მეგობრობა ვერ დაარღვევს ვერც რომელიმემა, ვერც ბიზანტიელებმა, ვერც არაბებმა, ვერც თურქებმა, მაგრამ აი შეცხრა მეტე-შეოცე საუკუნეში ჩვენ დაგვიპირისპირდა იმპერიათა შორის უფერაგესი და უბოროტესი — რუსეთის იმპერია, რომელმაც არნახული უბედურება მოუტანა ჩვენს ხალხებს. რუსეთის იმპერიამ თურქეთში გადაასახლა აფხაზი ხალხის დიდი ნაწილი, მანვე გააუქმა აფხაზეთის სამთავრო, გააუქმა საქართველოს სამეფო და მიზნად დაისახა ჩვენი ხალხების სრული ასიმილაცია და მოსობა. მან დაინახა, რომ ამას ვერ განახორციელებდა მხოლოდ სისხლიანი რეპრესიებით და გენოციდით, ამიტომ გამოიყენა ყველა იმპერიის ნაცადი ხერხი „დივიდე ეტ იმპერა“ — გათიშე და იბატონე და ყოველგვარ ღონეს ჩმარობდა აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთდასაპირისპირებლად. თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც ამას აღნიშნავდა თვით ნესტორ ლაკობა, ცარიზმამაც კი ვერ შეძლო აფხაზეთსა და ქართველებს შორის შუღლის ჩამოგდება. მაგრამ დღევანდელმა მოდერნიზებულმა კომუნისტურმა იმპერიამ, საუბედუროდ, მიაღწია ამას თავისი აგენტურის მეშვეობით, რაც მისი, გემგით დასაწყისი უნდა გახდეს კავკასიის ბალკანიზაციისა და ლიბანიზაციისა, რათა ცენტრმა შეინარჩუნოს თავისი პოზიციები და ჰეგემონია ამიერკავკასიაში.

ჩვენ პატივს ვცემთ აფხაზი ხალხის ეროვნულ და კულტურულ უფლებებს: თქვენს სახელმწიფოებრიობას, თქვენს ენას, კულტურას, აფხაზურ სკოლას, თეატრს, ყოველნაირად ვცდილობთ სადავო საკითხების მოლაპარაკებების გზით გადაჭრას, მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოფი-

ციალური ხელმძღვანელობა არ ამკლავებს სათანადო მზადყოფნას მოლაპარაკებებისთვის, ადგას ჩვენს მიმართ კონფორტაციის გზას, ამკლავებს სეპარატი-სტულ ტენდენციებს, საფრთხეში აგდებს მშვიდობას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

დღეს დიდი ხმაურია ატეხილი გალში ჩვენს მიერ პრეფექტის დანიშვნასთან დაკავშირებით. როგორც იცით, ჩვენი კანონის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უნდა წარმოადგინოს პრეფექტის კანდიდატურები, რომელნიც ჩვენ უნდა დავამტკიცოთ. ამავე კანონის თანახმად განმარტების მიხედვით, თუ ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ წარმოადგენს ასეთ კანდიდატურებს, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება აქვს თავად დანიშნოს პრეფექტი. მიუხედავად ჩვენი არაერთგვისი თხოვნისა, ბატონი არძინბა არ ჩამოვიდა თბილისში, არ დაესწრო პრეზიდიუმის სხდო-მებს, რომლის წევრადაც იგი ითვლება და არ წარმოადგინა პრეფექტის კანდიდატურა, ამიტომაც დიინიშნა გალში პრეფექტი. ამჟამად მას ჩვენ მივეციით ვადა სხვა კანდიდატურების წარმოდგენისა, რასაც იგი კვლავ აქიანურებს.

ამის მიზეზი კი ის ვახლავთ, რომ იგი ბოიკოტს უტყდადებს ჩვენს პარლამენტს, ჩვენს პოლიტიკის პრეფექტურებთან დაკავშირებით და სურს აფხაზეთში შენარჩუნება კომუნისტური წყობილებისა, მმართველობის კომუნისტური სისტემისა. მაგრამ ჩვენ უნდა შევასწავროთ მას, რომ კომუნისტური სისტემა და საბჭოთა იმპერია დღეს ვანწირულია და ამოდ ცდილობენ მავანნი და მავანნი ისტორიის ჩარხის უუკუღმა დატრიალებას. ადრე თუ გვიან საბჭოთა კავშირის დამოხრებული ხალხები გადაიგდებენ კომუ-ნისტური დიქტატურის უღელს და მათში არძინბას მსგავსი მოღვაწეები შეფასდებიან, როგორც საკუთარი ხალხების მოლოატები.

დღეს მთელი მსოფლიო გმობს გორბაჩოვის რებრე-სიულ პოლიტიკას დაპყრობილი ერების მიმართ, ლი-ტვაში და ლატვიაში ჩადენილ ბარბაროსობას. ასე რომ, საბჭოთა ტანკების იმედი ნულარავის ექნება. მსოფლიო გმობს, აგრეთვე, ცენტრის მიერ ინტერფერონტების და „ხსნის კომიტეტების“ შექმნის მცდელობას ხალხის მიერ არჩეული მთავრობების დამხობის მიზნით. და აი, ასეთ დროს აფხაზეთში შეიქმნა ინტერფერონტი, რომელსაც სურს გაიმეოროს ბალტიისპირეთის მოდ-ელი, ხოლო არძინბა გამუდმებით იწვევს იმპერიის ჯარს, რათა სისხლისღვრა გამოიწვიოს აფხაზეთში. მან უკვე მიიღწია შინაგანი ჯარის შემოყვანას ბაბუშერა-ში, მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ მსოფლიო ისევე დაგმობს მის საქციელს, როგორც დაგმო ბალტიის-პირეთის „ხსნის კომიტეტები“. ამით არძინბას სურს აფხაზი ხალხი ჩაითროს საბიფათო ავანტურაში, რო-მელიც მას მხოლოდ სირცხვილსა და უბედურებას მო-უტანს. ასევე საბიფათო ექნება აფხაზეთის მოსახლეო-ბისათვის მონაწილეობა 17 მარტის საკავშირო რეფე-რენდუმში, რაც ძიზნად ისახავს ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებას აფხაზეთში, ქართველების, აფხა-ზეთის, სომხების, რუსების და სხვა ეროვნებების ურ-თიერთდაპირისპირებას, ხალხთა შორის სისხლისღვრის პროვოცირებას. ამიტომ მოგივოდებთ: ნუ აყვებით პროკომუნისტებს, ჩვენი ისტორიული მტრების აგენ-ტებს და პროვოკატორებს, ბოიკოტი გამოუცხადეთ საბჭოთა რეფერენდუმს და მონაწილეობა მიაღეთ საქართველოს რესპუბლიკის 31 მარტის რეფერენდუმ-ში, რომელიც დაკავშირებული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან. დამოუკიდებელი სა-ქართველო თქვენ გაცხადებთ მეტს მოგცემთ, ვიდრე მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია, რომლის მიზა-ნიც არის ყველა პატარა ხალხის ასიმილაცია და რუსი-ფიკაცია. თვითმყოფად საქართველოში იარსებებს ქე-შმარტად თვითმყოფადი აფხაზეთი, ქეშმარტა თვით-მართველობით, როგორც მას ჰქონდა აფხაზეთა და ქართველთა ერთიანი სამეფოს არსებობის დროს საუკუნეთა განმავლობაში.

გაუმარჯოს ჩვენ ისტორიულ ძმობას, ერთობას და დამოუკიდებლობას! გვფარავდეს ღმერთი სიყვარული-სა და ქეშმარტიბისა!

სიყვარულით და პატივისცემით

ზ. გამსახურდია.



9 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრეს-კონფერენცია ქარ-თველ, საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებთან. პრეს- კონფერენ-ციის ანგარიშს შემოგთავაზებთ შემდეგ ნომერში.

სურათში: პრეს-კონფერენციის დროს.  
3030 კიპპამის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

### ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ლანდსბარგის


თქვენო აღმატებულეზავე!  
ქართველი ერის სახელით გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით მთელ ლიტველ ხალხს ლიტვის სახელმწიფოს აღდგენის შესახებ ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აქტის მიღების წლისთავს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი რესპუბლიკების მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ჩვენი ხალხების ინტერესებისა და მისწ-რავეების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახელით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა პრეფექტად დანიშნა:

ქობულეთის რაიონში — ანზორ გვივის ძე ტხილა-იშვილი

შუახევის რაიონში — შოთა სულიშვილის ძე ფუტ-პარაძე



ახლაბანს მოსკოვში კინოს სახლში გამოსვლისას რსფსრ-ს უზე-ნაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბორის ელცინმა მიწასთან გაასწორა საოკავშირო ხელშეკრულების პროექტი და კვლავ მოითხოვა სსრკ პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის გადადგომა, ამის გამო მან იმ-პერიის მომხრეთა რისხვა დაიმსახურა. 10 მარტს, მოსკოვში მანე-ვის მოედანზე მოძრაობა „დემოკრატიული რუსეთის“ მოწოდებით ბ. ელცინის პოზიციის მხარდსაქერად შედგა მიტინგი. მსგავსი მი-ტინგები გაიმართა რუსეთის სხვა დიდ ქალაქებში.

სურათში: მიტინგი მოსკოვში.  
საქინფორმის ფოტო.





### ახალი ნიგნები

NODARAS DUMBADZĖ  
Baltosios vėliavos



რამდენიმე დღის წინათ ვილნიუსიდან ჩვენი რედაქციის მეგობარი და გულშემოტყვიერი, იქ მომუშავე ჩვენი თანამემამულე, ქურალისტი ზურაბ ჯავახიშვილი ჩამოვიდა და სასიხარულო ამბავი გვამცნო. რაოდენ პარადოქსალურად არ უნდა ჟღერდეს ასეთი დასაწყისი, ფაქტი მაინც ჭიუტია — ბოლო ხანებში, „შობოლიური წითელი არმიის“ წყალობით, ლიტვიდან უმეტესად შემოშფოთებული ამბები თუ გვესმოდა.

მიუხედავად იმ ტრაგედიისა, ლიტველმა მეგობარებმა სწორედ იანვარში შეძლეს გამოეცათ ნოდარ დუმბაძის რომანი „თეთრი ბაიროლები“. იგი ლიტველად თარგმნა ზურაბ ჯავახიშვილმა.

ზურაბი ფართო საზოგადოებრიობას პირველად ჩვენმა გაზეთმა წარუდგინა ამ ორიოდ წლის წინათ, მაშინ იგი ლიტვის ახალგაზრდულ გაზეთში მუშაობდა. ახლა კი ლიტვის პოლიციის გაზეთ

### ვილნიუსიდან სასიხარულო ამბავის მოვიდა!

„ლაუდეს სარგებოეს“ რედაქტორის მოადგილეა.

ლიტვაში ზურაბი თბილისის უნივერსიტეტიდან მოხვდა. დასაბურთავ ვილნიუსის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ისწავლა ლიტვეური, იქვე დაოჯახდა და ვილნიუსში დარჩა სამუშაოდ.

ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაიროლები“ თარგმანი ზურაბ ჯავახიშვილის დებიუტია ამ დარგში. მის განზრახული აქვს გამოსაცემად მოამზადოს დუმბაძის სხვა ნაწარმოებები, ისინი, რომლებიც დღემდე არ არის თარგმნილი ლიტველად.

დასასრულს ვიტყვით იმასაც, რომ წიგნი გამოვიდა 7000 ტირაჟით, ნაცვლად დაგეგმილი 30 ათასისა. სხვაობა გამოიწვია იმ ეკონომიკურმა ბლოკადამ, რომელსაც ლიტვის მიმართ იყენებს საბჭოთა კავშირი.

საგულისხმოა ისიც, რომ წიგნი საგანგებოდაა სამ ფერში (ეროვნული დროშის ფერში) გადაწყვეტილი. როგორც მთარგმნელმა თქვა, ეს ლიტველმა მეგობარებმა სპეციალურად გააკეთეს.

მივულოცოთ ზურაბს საქართველო-ლიტვის კულტურულ ურთიერთობაში შეტანილი გამორჩეული წვლილი და წარმატებები ვუსურვოთ.


### ფარად უმართული კალამი

გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გურამ ფანჯიკიძეს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი.

მისი სახით ჩვენს ქვეყანას პრინციპული და უკომპრომისო პუბლიცისტი ჰყავს, რომელიც მუდამ გაბედულად, თამამად იჭრება ცხოვრების შუაგულში, იგი ყოველთვის იბრძვის სიმართლისა და პატიოსანების მალაი იდელების დასამკვიდრებლად. განსაკუთრებით საგრძნობია ამის საქმიანობა ახლა, როდესაც საქართველოს აგრესიულად გაუჭირდა, როდესაც ყველა მხრიდან თავს გვესხმის ხილული თუ უხილავი მტერი და ცდილობს ლაფში ამოსვაროს თავისუფლებისმოყვარე ქართველი კაცის სახელი.

სწორედ სიმართლისა და სამართლიანობისათვის უკომპრომისო ბრძოლის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს გამომცემლობა „მურანში“ სულ ახლახან გამოცემული გურამ ფანჯიკიძის პუბლიცისტური წიგნი „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!“

კრებულში მწერალს მხოლოდ ბოლო ორი წლის მანაძილზე შექმნილი წერილები შეუტანია, რომლებიც, ფაქტურად, ჩვენი მდელარე ცხოვრების ერთგვარ მატინეს წარმოადგენს.




9 აპრილის ტრაგედია, აფხაზეთისა და შიდა ქართლში დატრიალებული მოვლენები, საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული აღვირახსნილი ისტერიის კამპანია, — აი, ის ძირითადი თემატიკა, რომელსაც გურამ ფანჯიკიძის პუბლიცისტიკა მოიცავს.

იგი ცდილობს მაქსიმალურად დაიცვას ობიექტურობა და ფაქტებით, მხოლოდ ფაქტებით ეკამათოს ოპონენტებს და გამოაშკარავოს მათი ყურთი მოთრეული „მეცნიერული ნაზრების“ სიყალბე.

იმედ გვაქვს, რომ მწერლის ეს პუბლიცისტური წიგნი, რომლის თითოეული სტრიქონი მშობელი ქვეყნის უსახდვრო სიყვარულითაა დამუხტული, მკითხველი საზოგადოების სხოველ ინტერესს გამოიწვევს.

ზაალ აბრამოვილი

### ნიუ-იორკის შთაბეჭდილებები



### ...ამიტომაც პერუნდები თბილისში

„ნიუ-იორკი ამერიკა არ არის“, ამბობენ ნიუ-იორკელები და ამას უცხო თვალის ადვილად ამჩნევენ. ნიუ-იორკი ტრანზიტული მგზავრების უშველელ თავშესაფარს წაგავს, ნიუ-იორკში ყველა ერთი მიზნით ჩამოდის — რაიმე წაიღოს აქედან.

ნიუ-იორკი, მსოფლიოს სიმბოლური დედაქალაქია. გიჟური ტემპების, ვნებათაღელვების, უდიდესი აღტაცებებისა და უდიდესი ტრაგედიების ქალაქი.

ნიუ-იორკმა თავის საუკუნეს სულ ცოტა ასი წლით გაუსწრო.

მომეწონა თუ არა ნიუ-იორკი? ვერ გეტყვით. ალბათ, მოწონების, ან არმოწონების ცნება ვერ მიესადაგება იმ გრძობებს, რაც მე ამ ქალაქში განვიცადე. ნიუ-იორკი თრგუნავს, აშინებს, აოცებს, აღაფრთოვანებს აღამაინებს. თუ გსურთ ნახოთ მთელი მსოფლიო, გაეცნოთ სხვადასხვა ერების ტრადიციებს, ჩვევებს, ხასიათებს, ერთი თვე მაინც უნდა დაჰყოთ ნიუ-იორკში, ფეხით შემოიაროთ მანჰეტენი, კუინსი, ბრუკლინი, ბროქლინი და პარკის ფეხით შემოვიდეთ არ გირჩევთ, აქ დღისით-მზისით შეიძლება არამარტო საფულე, თავიც კი დაგატოვებინონ ზანგებმა.

ნიუ-იორკი რეზინის ქალაქი არ გახლავთ, მაგრამ უკვე 14 მილიონს იტევს, ნიუ-იორკი უარით არავის ისტუმრებს, ნიუ-იორკში შიმშილით ჭერ არავინ მომკვდარა, აქ მხოლოდ ზარმაცი კაცი შიმშილობს, ან გიჟი, მაგრამ ვაი, თქვენი ბრალი, თუ ღამის თორმეტი საათის შემდეგ ქუჩაში დარჩით, უღმობელია დამის ნიუ-იორკი. იქ ყოფნის დროს ერთ სენსაციურ ტელეგრაფს შევესწარი, შეაღამისას „ცენტრალურ პარკში“ თორმეტმა პუერტორიკელმა გააუპატიურა ერთი მილიონერი ბიზნესმენის 17 წლის ქალიშვილი, მოულოდნელად სასამართლო პროცესზე გოგონამ განაცხადა, რომ ბიჭები არაფერ შუაშია, მე მათ ჩემი სურვილით გააუპატიურესო, მაშ რატომ იოდი და თავის მისაკლავად რატომ დალიე საწამლავით — ჰკითხა დაბნეულმა მოსამართლემ. უბრალოდ, ასე მომწონდაო. პუერტორიკელი ბიჭები სასამართლო დარბაზიდანვე გაათავისუფლეს.

ნებისმიერი დარბი ნიუ-იორკელი ნებისმიერ მდიდარ მოსკოველზე მდიდარია. ჩვენში სიმდიდრის სხვა საზომებია, მაგალითად სიმდიდრეს ნიშნავს სამოთხიან ბინაზე მერტი, ან საკუთარი სახლი, საკუთარი მანქანა, ავტოკარგი, უცხოური ვიდეო და აუღიბაპარატურა, ეს ნიუ-იორკში ცხოვრებისეული აუცილებლობაა, თუმცა ათი მილიონი დოლარის პატრონს შეიძლება არც ჰყავდეს საკუთარი მანქანა და მეტროთი სარგებლობდეს (მეტრდ მოსახერხებელია იქ), არ ჰქონდეს ვიდეო (რა საჭიროა ვიდეო, როცა ტელევიზიით ყველაფერს ნახავ).

ნიუ-იორკში „მაკდონალდის“ სასადილოში სისტემატურად სიარული ცუდ ჩვევად, არაპრესტიჟულად ითვლება.

ნიუ-იორკში ერთი დოლარი კაპიკია, აქ ერთი დოლარი უკვე ოქროდ ფასობს...

ნიუ-იორკში მილიონის პატრონს არ თვლიან მილიონერად...

ნიუ-იორკში ქართველები ძალიან ცოტანი არიან, სულ 6-7 ოჯახი თუ იქნება. მათი შვილები და შვილიშვილები ძირითადად ინგლისურ ენაზე ლაპარაკობენ. ჩავფრინდი თუ არა ნიუ-იორკში, ქართველთა სათვინსტომოს თავკაცებთან დავრეკი, დიდი ენთუზიაზმით არ შემხვდნენ. ერთმა მითხრა, მეორეს დაურეკეო, მეორემ მესამეს... მე მათ უსასყიდლოდ მკურნალობა შევთავაზე, არ მოისურვეს ჩემთან შეხვედრა, ყველამ რაღაცა მომიბიზუა...

ნიუ-იორკში ქართველმა ებრაელებმა ქორწილში დამატყვეს, იქ ერთი ქართველი მომღერალი ვნახე, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში ცნობილ ანსამბლში მღეროდა და პოპულარულ მომღერალად ითვლებოდა, ცოტა მოტეხილი, მობერებული მომეჩვენა, ისე უფრო დაოსტატებულა... მღეროდა სევდიანად, კაცს ცრემლს მოჰგვრიდა მისი სიმღერა.

„ტრაფიკის“ ე.ი. ბიკის საათის დროს მთელი ნიუ-იორკი შესაძლებლობების ზღვარზე იწყებს ცხოვრებას, ქუჩებში მანქანების ტევა არ არის, თავქუდმოგლეჯილები გარბიან, სახლებისა თუ ოფისებისაკენ ინგლისელები, ირლანდიელები, ესპანელები, ჩინელები, სომხები, კორეელები, თითქოს მთელი მსოფლიო დაძრულა...

ამ ორომტრიალში, ოხშივარში, გადახილვებში, ქვესკნელიდან ამოწეული მეტროს მატარებლის გაშვებში, გაზეთის გამყიდველთა ღრიანცვლში ზედმეტად გრძობთ თავს... სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდები ქვაბებში მოგროვილ ცენტრებს ახნარუნებენ და მოუწოდებენ გამველ-გამოგველავს შეეწონ ამერიკის ჯარს.

ტაიმსკვერში კი მოპოკეტებები გობიან ამერიკის აგრესიას სპარსეთის ყურეში,

მეშვიდე ავენიუზე სხვა მოპოკეტებები ლიტვაში გორბაჩოვის აგრესიის წინააღმდეგ გამოდიან.

ნიუ-იორკის პრესა მოფერებით აღარ უწოდებს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს „გორბის“ და ბუმს მოუწოდებს შეუწყვიტოს ყოველგვარი დანაბრება საბჭოთა კავშირს.

სადაც კი გეგულობენ, რომ საბჭოთა კავშირიდან ხარ, ისე გეპყრობიან, როგორც მოწყალები სდები საცულავ ხეიბარს, დამპყრობელია ასეთი თანაგრძობა...

ნიუ-იორკში კავშიროვების და ჯუნას სათოფეზე არ გაყარებიან, კავშიროვების ბრაიტენ-ბიჩზე, ბრუკლინიში ერთი მატარა კლუბი დაუთმეს, ასი კაცი ძლივს მოგროვდა, ისიც „რუსი“ ემიგრანტები... ნიუ-იორკში მსოფლიოს ყველა ჯურის მკურნალს შეხვდებით, ექსტრასენს კი არა, ამიტომ ასეთ მკურნალობას უნდობლად ეპყრობიან.

მე თითქმის ორი კვირა უმუშევარი ვიყავი, თანაც ჩემმა

ბიზნესმენებმა აქცენტით თავიდანვე მდიდარ ამერიკელზე აიღეს... როცა საბოლოო იმედით გადაემეფლა და უკან დასაბრუნებლად ვემზადებოდი, ერთი წელისკურგაკვებული მილიონერი მომიყვანეს, სამი დღეა რას არ ვუკეთებთ და ტვიცილები მაინც ვერ მოგუსხენითო, შემომჩივლა ცოლმა, რომ გახადეს კისერსა და წელზე ჩინური ნემსებისა და რაღაც ძლიერი მალამოს კვალი ეჩნებოდა, მილიონერი ხუთ წუთში წელში გასწორდა და კისერიც ამოძრავა, მერე ფეხის წვერები გაუსვა და ჩემდა გასაკვირად ქართული ცეკვა დაიწყო... ეს ცეკვა საიდან იცო-მეთქი, გამოიკვირდა, ეს არაფერი, თქვენი ერთ-ერთი ანსამბლის კონცერტს დავესწარი, აი, რაც შენ ახლა გამოკეთე ეს არის სასწაული, ახა ხელისგულზე გადმოაბრუნეო, გადავაბრუნე ხელისგულზე, მერე ისევ გადმოვაბრუნე, კარგა ხანს მატრილიზიანა...

ნიუ-იორკში ყველაზე კარგად ებრაელები ეწყობიან, რომელთაც ჩასვლისთანავე ახვედრებს ბინებს ებრაელთა მსოფლიო ორგანიზაცია, ეძლევათ „ველფორი“, სახელმწიფო უზრუნველყოფა, ენიშნებათ უფროს ან შედავათიანი სამედიცინო მომსახურება (ნიუ-იორკში სამედიცინო მომსახურება ყველა მომსახურებაზე ძვირია, საუკეთესო საავადმყოფოში ერთი დამით საწოლი 2000 დოლარი ღირს, მხოლოდ საწოლი მომსახურების გარეშე, ბავშვის დაბადება 5000-დან 7000 დოლარამდე, გულის ოპერაცია 20000-დან 35 000 დოლარამდე).

ნიუ-იორკში ყველაფრის ყიდვა შეიძლება, ოქრო და ძვირფასი ქვები აქ იაფია. ამერიკელის საშუალო ხელფასი თვეში 2,5 ათასიდან 35000 დოლარამდე შეიკვება. სიუხვის გამო ამერიკელებს უჭირთ სურსათის, ტანსაცმლისა და სხვა საქონლის არჩევა, ამიტომ ყიდულობენ იმას, რასაც უფრო მეტი რეკლამა უკეთდება. ჩემი სახლის წინ სუპერმარკეტ „ვალდამუს-სში“, 68 დასახელების ყველა და 35 დასახელების მარწყვი და 15 დასახელების მანდარინი...

ნიუ-იორკში ბევრმა არ იცის, ვინ არის ჩელენგერი, წარმოდგენა არა აქვთ ვინ იყო ლუი დე ფუენესი, ან ენ მარე...

საქართველოს შესახებ 9 აპრილის შემდეგ შეიტყვეს. აქ ყველაზე პოპულარულია ესტრადის მომღერალი მაღონა. ისეთი მსახიობი, როგორც სილვესტერ სტილონეა, დაახლოებით თხუთმეტამდეა.

მეტონი მონრო დღეს ყველა დროის ვარსკვლავად ითვლება.

მომეწონა თუ არა ნიუ-იორკი? ვერ გეტყვით. ალბათ, მოწონების ან არმოწონების ცნება ვერ მიესადაგება იმ გრძობებს, რაც მე ამ ქალაქში განვიცადე. ერთი რამ კი დაბეჭივით შემიძლია ვითხრა, ამ მოგზაურობაში საბოლოოდ დავრწმუნდი რომ „აეროფლოტი“ არაორგანიზებული „მაფიაა“, ხოლო თანამედროვე ქართველი კაცის ბუნება ვერასოდეს შეეგუება ნიუ-იორკის ცხოვრების ყაიდს, ამიტომაც ვბრუნდები შინ, ჩემს გალატაკებულ, დახლებდაცარიელ ბულ, მაგრამ შობოლიურ თბილისში...

თამაზ შანივილი





**АИХ სპეცშენი** განსაკუთრებული პერიოდი აქართველოს ისტორიაში. მეომარი ერი უომრად დამარცხდა და დაწვდა უცხო ხელმწიფოს. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების წინააღმდეგობა და გარდასახვა საკუთრივ ვითარებამ გადაწყვიტა ქართული სახელმწიფოებრიობის ბედი და დიდი ისტორიის მქონე ქვეყანა რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა.

რუსეთი დიდი ხანია ამოძრავებდა შავი ზღვის დაპყრობის იდეა — სურდა, ეპოვა კონსტანტინოპოლის კართ გასასვლელი ხმელთაშუა ზღვაში და თავისი სამრეწველო რესურსებით მსოფლიო ბაზრის აქტიური მონაწილე გამხდარიყო. სწორედ ამიტომ საქართველო და მთლიანად ამიერკავკასია უნდა ყოფილიყო პლაცდარმი შავი ზღვის შემოღობვისათვის.

ჩრდილო კავკასიის კოლონიზაცია რუსეთი საქართველოს მოუახლოვა. ეს მოახლოება რეალური გახდა კავკასიის სამხედრო ხაზმა და საქართველოს ხანგრძლივი ორინტაცია ერთმორწმუნე მეზობელზე დასრულდა რუსეთთან შეერთებით.

„არა ნივთიერა, არა განვრცობისათვის საზღვართა და ესრეთე უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მმართველობისასა. მხოლოდ პატივი და კაცობრობა სდებდა ჩვენზედა საღვთო ვალსა“ — ასე იწყება ალექსანდრე პირველის ცნობილი მანიფესტი, რომელიც გამოცხადდა 1801 წლის 12 სექტემბერს.

1802 წლის 9 აპრილს (ამ ავადსახსენებელ დღეს) კავკასიის ხაზის ინსპექტორი, საქართველოს მთავარმართებელად დანიშნული გენერალი კნორინგი რუსული ჯარით შევიდა თბილისში. ბატონიშვილი დავითი — საქართველოს სამეფო ტახტის ეს უკანასკნელი მემკვიდრე საბოლოოდ ჩამოცილებული იქნა სამეფო საკმედიდან. ქართული სამეფო ხელისუფლების უმადლესი ორგანოები გაუქმდა, მათი ადგილი ეკლესიებისა და სემინარიების მიმართელობამ დაიკავა. აღმოსავლეთ საქართველო 5 მაზრად დაიყო. თბილისი საგუბერნიო ქალაქად გამოცხადდა. დაირჩა ისტორიული ეროვნული ტრადიცია.

მოხდა ორი ერის წინააღმდეგობა, ადამიანის, ხანაიისა და კულტურული თავისებურებათა დაპირისპირება. რუსეთი პოლიციური საშუალებებით ცდილობდა მოეთრგუნა ჩვენი ეროვნული წყობის ყველა ნიშანი. ჯარის შესანახი სატრანსპორტო და სასურსათო ბეგარა მიმდებარებოდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. საოკუპაციო ჯარის ნაწილები განუითხავად აწყობდნენ გადასახადის რაობას და ოდენობას. ამ ფაქტის დასტურად თვით რუსი გენერალი ლაზარევი 1802 წელს ჯარებისადმი ბრძანებში აღნიშნავდა:

„ოფიცრები თვითნებურად აწესებენ (გასაყვანი) ცხენებისა და ურმების რაოდენობას, არაფერს უხილან ამისათვის განაჩაგებული მიწის მიუშა ხალხს. ჯარისკაცები პირად შეურაცხყოფას აყენებენ მცხოვრებლებს, სტაცებენ მათ საჭინებს, სარჩო-სადანებებს, ავერანებენ მათ ბაღებსა და ბოსტნებს და სვამენ რა ღვინოს თავმოხდილ კურებიდან, თავიანთი უგზურების წყალობით, შემდეგ სიბინძურით ავსებენ მათ“.

ლაზარევის ეს ბრძანება ქალაქ ზედა დარჩა. თავისუფალ თარეშს ჩვეული ჯარი თავის საქმეს განაგრძობდა.

მხოლოდ ამოხსნა საქართველოს მაშინ, მშვიდობიანობის დროსაც, თითქმის უფასოდ 140 ათასამდე ურემი და 100.000-მდე სასაპლენე ცხენი გამოჰყავდა. ეს ვებერთელა ჯარაგები ინთქებოდა ირანისაკენ მიმავალ შორეულ გზებზე. ნახევარზე მეტი გზებზე იხოცებოდა.

სატრანსპორტო ბეგარას ემატებოდა გამანადგურებელი სასურსათო გადასახადიც. დაწესდა პუარის შესყიდვის ფასი, რომელსაც თვითნებურად ცვლიდნენ ადგილობრივი მმართველები. სურსათის გაწერა ხშირად ისეთ სოფლებსაც შეეხებოდა, სადაც პურეული არ მოჰყავდათ. გლეხობა იძულებული იყო სხვაგან, ერთობლად ძვირად შეესყიდა იგი.

ქართველობა უმძიმეს პირობებში ჩაეარდა, საუკუნეთა მანძილ-

ზე თურქთა და ირანელთა მუდმივი შემოსევებით ქვეყანა ისედაც ვალატაყებული იყო. მძიმე საბატონო და სახელმწიფო ბეგარას საოკუპაციო ჯარის შენახვის ხარჯებიც დაემატა. გლეხობამ ვერ შეძლო ბეგარაში გასვლა, სურსათის გაღება, ცარიზმის ადგილობრივი მთავრობა შეეცადა მიეღო ეგზეკუციური ზომები.

ძველმა საქართველომ, რა თქმა უნდა, იცოდა, რა იყო სოფლის დარბევა და დაწიოკება, მაგრამ წინასწარ განზრახული, ერთმორწმუნე ერისგან — ჩვენმა ისტორიამ არ იცოდა.

იმდროინდელი რუსი ისტორიკოსებიც კი ვერ მალავენ იმ საშინელებებს, რაც ეგზეკუციების დროს ხდებოდა. ვ. ივანენკო და ნ. დუბროვინი აღწერდნენ რა რუსთა მმართველობას კავკასიაში, წერდნენ:

„ვერ ნახულობდნენ რა პურს გლეხთა სახლებში, ჯარისკაცები უანგარიზოდ ხოცავდნენ გლეხის სა-

ლო, ვლადიკავკასში გადასულიყო და დამხმარე ჯარები მოეთხოვა გენერალ დელოცოსათვის. მალე სუზდალის პოლკი მთიორ ბარათის წინამძღოლობით საქართველოსაკენ დაიძრა. მის შესახვედრად ღირსიკარიდან კაპიტან საგინაშვილის სამი ასული გაემართა. გზად აჯანყებულთა რაზმს წააწყდა და იძულებულ იქნა უკუქცეულიყო. 12 თებერვალს დუშეთისაკენ მიმავალ პოლკოვნიკ უშაკოვს აჯანყებულთა რაზმები დაესხნენ თავს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში უკან დაიხიეს და დუშეთში გაიშრდნენ. 13 თებერვალს დაეცა დუშეთის ციხე. შემდეგ გაიშრდა, რომ ციხეს სულ 50-მდე ცულად შეიარაღებული თავადებელი ქართველი გლეხი იცავდა, კარგად შეიარაღებული ხუთი ასულის და არტილერიის წინააღმდეგ. უშაკოვის ასულები, რომელთაც გენერალი კონსტანტინე მუხრან-ბატონიკ შეუერთდა, ანაურისაკენ დაიძრნენ,

ლო, ვლადიკავკასში გადასულიყო და დამხმარე ჯარები მოეთხოვა გენერალ დელოცოსათვის. მალე სუზდალის პოლკი მთიორ ბარათის წინამძღოლობით საქართველოსაკენ დაიძრა. მის შესახვედრად ღირსიკარიდან კაპიტან საგინაშვილის სამი ასული გაემართა. გზად აჯანყებულთა რაზმს წააწყდა და იძულებულ იქნა უკუქცეულიყო. 12 თებერვალს დუშეთისაკენ მიმავალ პოლკოვნიკ უშაკოვს აჯანყებულთა რაზმები დაესხნენ თავს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში უკან დაიხიეს და დუშეთში გაიშრდნენ. 13 თებერვალს დაეცა დუშეთის ციხე. შემდეგ გაიშრდა, რომ ციხეს სულ 50-მდე ცულად შეიარაღებული თავადებელი ქართველი გლეხი იცავდა, კარგად შეიარაღებული ხუთი ასულის და არტილერიის წინააღმდეგ. უშაკოვის ასულები, რომელთაც გენერალი კონსტანტინე მუხრან-ბატონიკ შეუერთდა, ანაურისაკენ დაიძრნენ,

ზობლებიც მიემართო და წაიქეზებინათ იარაღის ასაღებად“.

პაულები თვითონ ჩაუდგა სათავეში ჯარს, რომელსაც კახეთის მიმართულებით სამხარი ოპერაციები უნდა ეწარმოებინა. ამჯერად 1500 ქვეითი, გაძლიერებული არტილერიით, ყაზახებისა და მოლაღატე თავად-აზნაურებისაგან შემდგარი ცხენოსანი პოლკი 23 თებერვალს კახეთისაკენ დაიძრა. ამჟამად დროს იმპერიის მსახურთა დახმარებით პაულები პროკლამაციით მიმართავს აჯანყებულებს: „რას ჩაღიხებთ თქვენ! რამ დაახშოთ თქვენი ქუდა და რა არის თქვენი მიზანი... ნუთუ დაგაიწყდათ ქრისტეს სარწმუნოება და ვერ ხედავთ, რომ ღვთის ხელი მზადა შეგმუსროთ თქვენ, როგორც ფიცის გამტყენნი“. შემდეგ ტექსტში, რომელიც უშუალოდ მარკოზის ხელით დაიწერა, ურცხვად განცხადებულია: „გახსოვდეთ, რომ თქვენ გაბედული იარაღის აღება მისი იმპ. უდიდებულესო-

2 მარტს, პაულები პირისპირ შეტაკებას მოერიდა, არტილერიის ცეცხლი დაუშინა ჩუმლაცს, მთელი სოფელი ცეცხლში გაახვიდა და მხოლოდ შემდგომ ეკვეთა გლეხთა დაქსაქსულ, პატარ-პატარა რაზმებს, სასტიკად გაუსწორა მათ, მთელი სოფელი გადამწვარ-გადაბუვული და სახრჩობელებით საყვე დატოვა.

ჩუმლაცის ტრაგედია სწრაფად მოედო მთელ კახეთს, ამის შემდეგ პრაქტიკულად შეწყდა აჯანყებულთა ორგანიზებული წინააღმდეგობა. 4 მარტს პაულები უკვე თელავში იყო. გზადაგზა იგი ადვილად გაუმკლავდა გლეხთა პატარ-პატარა რაზმებს.

5 მარტს, თიანეთთან უკანასკნელი ბრძოლა გაიმართა. აჯანყება დამარცხდა.

დამარცხდა იგი რუსეთის იმპერიის ჩვეული მეთოდების, ორპირობის, მოქცეულობის, მოსყიდვის და სხვა პროვოკაციული ზომების გამოყენებით. მეფის მთავ-

# 1812 წლის კახეთის აჯანყება

ქონელსა და ფრინველს. ღვინოს, რასაც ვერ სვამდნენ, ღვინოდნენ მიწაზე, ანადგურებდნენ ბალ-ბოსტნებს“.

სიღნაღის მოურავს ი. ანდრონიკაშვილს ბოღბისხველმა გლეხებმა წერილით მიმართეს: „ყოველგვარ გასაპირს და შეურაცხყოფას ვიტანდით, მაგრამ ხელიდან ცოლების წაგლეჯა აღარ შეგვეძლო მოგვეთმინა. ბიბილაშვილს ყაზახებმა ცოლი მოსტაცეს, ორი კვირა ჰყავდათ და შემდეგ დაითხოვეს; ბაღაშვილსა და ხომაშვილსაც წაართვეს ცოლები. მათი გაუპატიურება და ნაშუის ასადასაკუთარი თვალით იხილეს მათმაცქმრებმა“.

1808-1811 წლებში რუსთა არმიის გამუდმებული ლაშქრობის გამო, სატრანსპორტო ბეგარამ დიდი რაოდენობის რჩოსანი პირუტყვი იმსხვერპლა, ამას თან დიერთი მოუსავლიანობის წლები, შვიკური, რომელიც ტორმასოვის ჯარს გადმოჰყვა ახალციხიდან უკანდახევის დროს. გლეხობა ისედაც შიმშილობდა და გაჭირვებას განიცდიდა, სასურსათო მოხელეებმა კი მთავარმართებელს მარკოზ პაულუსს ცნობა გაუგზავნეს, გლეხობას ხორბალი აქვს და გვიმალავსო. მარკოზმა ეგზეკუტია ჩაუყენა მოსახლეობას.

მოთმინების ფილა აივსო, საერთო მელევაგებამ მოიცვა მთელი კახეთი.

1812 წლის 31 იანვარს ახმეტაში სურსათის ასაკრფად მოხულ რაზმს პირველი ორგანიზებული შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია გლეხობამ. მალე ახმეტის აჯანყებულებს მატნის და თიანეთის გლეხობაც შეუერთდა.

4 თებერვალს აჯანყებულმა გლეხობამ თელავში ბრძოლით აიღო სურსათის საწყობები. თელავის კომენდანტი 50 კაცითა ქალაქის ციხეში ჩაიკეტა, მათ დასახმარებლად მთიორ ვრონსკის მეთაურობით 3 ასეული ბრძოლის მურთიბა და ისიც ციხეში შეიკეტა.

250-კაციანი დრაგუნთა რაზმი კი ციხის მისაღდგომებთან ერთხანად ამოწყვეტეს აჯანყებულებმა.

6 თებერვალს აჯანყება მოედო სიღნაღის მაზრას და პრაქტიკულად მთელი კახეთს. საგარეგნო აჯანყებულებმა სასტიკად დაამარცხეს გენერალ პორტიაგინის რაზმები, გენერალი თბილისში გაიქცა.

არტილერიის ცეცხლით აიღეს ციხე და ფსანაურისაკენ გაემართნენ, სადაც მეორე მხრიდან სუზდალის პოლკის ნაწილებს უნდა შეერთებოდნენ.

უშაკოვის ბატალიონების წარმატება სულაც არ ნიშნავდა აჯანყების დამარცხებას, საშაბუროში აჯანყებულთა ათასკაციანი რაზმი საფრთხეს უქმნიდა მათ, ამასთან მცხეთის მისაღდგომისაკენ 200-კაციანი რაზმი ჰკეტავდა საშაბუროს გზას. შეშფოთებულმა მარკოზ პაულუსმა იმერეთიდან მთელი ბატალიონი გამოიძახა თბილისში.

სიღნაღში აჯანყებულებმა ბრძოლით აიღეს სიღნაღის ციხე. აჯანყებამ თანდათან გააზრებული ხასიათი მიიღო, აჯანყებულთა მხარეზე თავად-აზნაურთა ერთი ნაწილი ჩაება. სასწრაფოდ მოწვეული იქნა ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე და იგი გამოაცხადეს კახეთის მეფედ.

დუშეთსა და ანაურში აჯანყებულთა მარცხი სრულიადაც არ ნიშნავდა აჯანყების ჩაქრობას, პირაქით, მისი ვაგლენით მელევაგება დაიწყო შირვანსა და დაღესტანში, ალახანზე უკვე გადმოსულიყო ათასამდე ლეკი.

20 თებერვლისათვის კახეთში ხმა დაირხა, ირანიდან დაიძრა ალექსანდრე ბატონიშვილი. სინამდვილეში ტახტის მძიბებელი ა. ბატონიშვილი ამოად არწმუნებდა ირანის მმართველთ ბაბა-ხანსა და აბას-მირზას, რათა მოწყობილიყო დიდი ლაშქრობა საქართველოში. მაგრამ ირანის კარზე სწორედ ამ დროს ფარულად მიმდინარეობდა დიპლომატიური ვარიეტა, რომელიც 1813 წლის 12 ოქტომბრის გულისტანის ცნობილი საზავო ხელშეკრულებით დასრულდა, რომლის თანახმად ირანი ხელს იღებდა კასპის ზღვის მეორე მხარეზე, შესაბამისად — საქართველოს საკითხიც მის საგარეო პოლიტიკის სფეროდან ჩრუულიად გამოირიცხა.

კახეთის გლეხთა აჯანყებას რეალურად ვეღარ მოუსწრო ალ. ბატონიშვილმა. დიდი ლაშქრობის ნაცვლად, მცირედი რაზმით, რომელიც ძირითადად ლეკებისაგან შედგებოდა, დაიწყო ახალი ბრძოლა, მაგრამ მაშინ, როცა საქართველოში აჯანყება უკვე დასრულებული იყო, და ცხადია, ალ. ბატონიშვილის ლაშქრობას წარმატება არ მოჰყოლია.

მანამდე კი აჯანყება მთელი ძალით ვითარდებოდა, შეშფოთებული მარკოზ პაულუსი 21 თებერვალს წერს იმპერატორ ალექსანდრე პირველს: „უდიდესი მწუხარებით განვიცადე თქვენი იმპერატორობით უდიდებულესობის ჯარების უკიდურესად კრიტიკული მდგომარეობა, რომელიც მთ შეიქმნათ აქაური ხალხის მელევაგებისაგან და აჯანყებულთა დამახუთი ღონისძიებისაგან — არა მარტო საქართველოს მოსახლე ხალხი აჯანყებინათ, არამედ მე-

ბის ჯარების წინააღმდეგ, რომელიც სარწმუნოებით თქვენი ძმები არიან, რომელიც იცავენ თქვენს სახლ-ქარს, ოჯახს და ავლადილებს გარეშე მტრებისაგან... ისე როგორ დაიბნით, რომ შეიარაღდით თქვენი დამცველების წინააღმდეგ, თქვენივე სამშობლოსა და სარწმუნოების წინააღმდეგ... კახეთის ხალხი, ვხლა თქვენ წინ ორი გზაა: ერთი გადარჩენისაკენ, მეორე უცილობელი დაღუპვისაკენ. შევკრიბე ძლიერი ჯარი, და თვით მოვდებო კახეთში მშვიდობის ჩამოსაგდებად“.

მარკოზის ჯარების და აჯანყებულთა პირველი შეტაკება სოფ. ხაშში მოხდა. სამების მონასტრის ნანგრევებში დაბანაკებულ აჯანყებულებს არტილერიის ცეცხლით შეუტეეს, სუსტად შეიარაღებულმა გლეხობის თავდამოდებულმა ბრძოლამ შედეგი ვერ გამოიღო — უკან დაიხიეს და ტყეში დახანძრდნენ.

მთავრად დახმარებით მთავარმართებელმა მიაგნო აჯანყებულთა 50-კაციანი რაზმს და თითქმის მთლიანად ამოხოცა. ხაშმიდან მთავარმართებელი საგარეჯოსაკენ დაიძრა, ბრძოლის გარეშე აიღეს საგარეჯოს ციხე, თავდაპირველად აჯანყებულთა მხარეზე მებრძოლმა ადგილობრივმა თავადებმა მაცაშვილებმა, ჩერქეზიშვილებმა და ყარაღაშვილებმა განხეთქილება შეიტანეს ადგილობრივ რაზმში, თვითონ ჩამოშორდნენ აჯანყებულებს და მდებარე დაუკრეს თავი მარკოზს, რომელმაც მალე კახეთში, ყანდაღური და მანავიც დაიმორჩილა. ქიზიყში ასევე შეიბრთა ადგილობრივი თავადები, ადვილად დაიკავა სიღნაღის ციხე, იქვე სახრჩობელა გამართა, რათა ასეთი „ბრძნული“ ნაბიჯით, დაშინებით, მოესალა აჯანყების გაგრძელების შესაძლებლობა.

1 მარტს თელავს მიმავალ პაულუსს სოფელ ჩუმლაცთან თავგანწირვით ეკვეთნენ გლეხთა რაზმები და სასტიკად დაამარცხეს იგი. შემდგომში ჩუმლაცთან დამარცხებისათვის პაულუსი თავს იმართლებს: „ეს იყო ისეთი გაბედული თავდასხმა, რომელიც არ შეიძლებოდა მოსალოდნელი ყოფილიყო“. სხვა რაღა ეთქვა მთავარმართებელს, რომლის არტილერია და კარგად შეიარაღებული ქვეითი და ცხენოსანი ბატალიონები უბრალო თოფებით შეიარაღებული გლეხების ერთი მუქა რაზმმა გაბედული მოქმედებით თავგანწირვით სასტიკად დაამარცხა. რამდენიმე რუსი ოფიცერთან ერთად მთელს უკანა ბატალიონის წინამძღოლი, თავადი ვახტანგ ორბელიანი და რომ არა ბინდი, ვინ იცის პაულუსის ბატალიონები მთლიანად ამოეწყვიტათ კიდევაც.

რობას აჯანყების ჩაქრობა დიდად გაუადვილა ჩინ-მედლებსა და ჯიღლის დახარბებულმა ქართველობამ. ყოველივე ტიპიური მოვლენა საქართველოს ძაძამოსილი წარსულისა. ერთი რომ თავს აკლავდა სამშობლოს, მეორე, მისივე მეზობელი, იღვწოდა და ოფლსა ღვრიდა სამშობლოს დასანგრევად. ისტორიამ იცის, რომ იმავე 1812 წელს ნაპოლიონის წინააღმდეგ რუსეთის არმიის 12 ქართველი გენერალი იბრძოდა „მამულის“ დასაცავად. მარტო პეტრე ბაგრატიონი რად უღირდა საქართველოს.

მარკოზ პაულუსი კმაყოფილებდა აღნიშნავდა, „ქართლის დამშვიდებაში გენერალ სტალს დიდი სამსახური გაუწია თავად ამილახურებისა და ერისთავების გულმოდგინებამ და ერთგულებამ“. აჯანყების ჩაქრობაში დახმარებისათვის პაულუსი წერილობით მადლობას უცხადებდა ეპისკოპოს სტეფანესს და მიტროპოლიტ იოანე ბოღბელს. არქიმანდრიტი ელეთერ ზუკაიშვილი ფრონტზე დაჰყვებოდა მთავარმართებელს ჯარებს.

ა. ფრონელი კახეთის აჯანყების აღწერისას გულისტკივილით აღნიშნავს, „არქიმანდრიტი ელეთერი — კარის ეკლესიის მოძღვარი ყოფილა, რომლის თვალწინ საქართველოს ქირიხულ ეკლესიას მზე და მთავარი დაუბნელდა. კათალიკოსი ანტონი 11 მეტ ხორცსავით მოჰკვირიეს სამშობლო ეკლესიას, მის მაგიერ რაოდ კანცელარია შეხანდლეს და იმის ნაცვლად, რომ გვერდ აუქციოს, იწუხოს და იგლოვოს ობლობა და ქვერთობა ეკლესიისა, თვალკრემლიანი ემუდარებდა მთავარმართებელს დაუფილდობელს ნუ დამტოვებთ... და რომელმაც მთელი თხუთმეტი წელიწადი საძრახის ხელობაში გაატარა“.

რუსეთის მთავრობამ აჯანყების ჩასაქრობად ერთგულ თანამშრომლოდ გამოიყენა თავად-აზნაურობის ნაწილი, ისინი იყენენ ამბის მომტანნი და ჯარის წინამძღოლები. კახეთში მარკოზს თან ახლდა და მამაა სისხლის ღვრიდა თავდაზნაურებისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი. გენერლებმა გაბრიელ ყაზბეგმა და კონსტანტინე მუხრან-ბატონმა, კაპიტნებმა საგინაშვილმა და მალალაშვილმა და სხვებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს მთავარმართებელს. თავად-აზნაურობის იმ ნაწილშიც, რომელიც თავიდან აჯანყებაში ჩაება, განხეთქილებამ იჩინა თავი, თავიანთი მამულისა და სახლკარის გადარჩენის მიზნით, შერიგდნენ წერილობით მიმართვებულ პაულუსის, მდებარე უკრავენ თავს და აჯანყებულთ დალატობენ.

ამ სამწუხარო ამბავს ასე მოგვითხრობს მემატიანე დავითი: „სწორედ უხვად აქვს დაბერტყილი უფლის მიერ ქართველის ბუნებას შური, მტრობა, დალატი-

სიღნაღის აჯანყების მხარდები

მართლა რომ ეროვნული უბედურებაა და ღვთის რისხვაა ძველ-სა და რბილად გამჯდარი, დაუღვრებელი და ცვალებადობა ხან-სიათისა...

ბატონიშვილი გრიგოლი ერთი თვის მეფობის გულისათვის თორმეტი თვე პეტრეზავოდის ციხეში ამყოფეს, მერე სხვა ბატონიშვილივით რუსეთს დაასახლეს...

1816 წლის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ამისტიტი გაანთავისუფლა აჯანყების მონაწილეთა ერთი ნაწილი...

აჯანყება დაშორდა. თუმცა დაშორებულა სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ქართველები შეურიგდნენ ბედს...

1812 წლის აჯანყების ისტორიული ფურცელი დიდხანს გაყვა ერს, თქმულბეზსა და ხალხურ ლექსებში...

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა არახდროს შეწყვეტილა, ისტორიის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახით წარმოინდობდა...

... რამდენიმე დღეც და სტარტს აიღებს საქართველოს 1991 წლის „საბჭოთა“ ჩემპიონატი ფეხბურთში...

— გუნდი 10 იანვარს შეიკრიბა და 5 დღე სამედიცინო მომზადებას მოეხდინათ...

— გუნდიდან მხოლოდ ერთი ფეხბურთელი წავიდა — მამუკა აფციაური...

— ბატონო გივი, ბერმა გუნდმა ღვინოში წახვალა ხახლში დარჩენა აშკარაა...

— საბუნდოვანოდ, ლესელიძეში ჩვენ გუნდს ყოველანაირი პირობები ჰქონდა შექმნილი...

სიმონ კილაძის სტატია „გვარდი“, რომელშიც ავტორის მიზნით დაშვებულია შეცდომა...

ული ინვეტარის შოვნას, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით თბილისის სპორტსა და ფიზკულტურის მინისტრის...

„გორდა“ ეგზალა



შემდეგი შეხვედრა საქართველოს პირველობის II ლიგის ერთ-ერთი ძლიერ გუნდთან — ქალუგის „ზარისთან“...

ვანდელ სეზონში შევარცხვინებინ გულშემატკივრებს. — ბატონო გივი, იქნება გაგველოთ პარალელური თქვენი გუნდის შარშანდელ და წლევანდელ სეზონის წინა მზადებებს შორის...

— დიმიტრი კუდინოვი, როგორც შემთხვევითად, ბულგარეთში იმყოფებოდა...

— შარშან, სეზონის დამთავრების შემდეგ, 5 დეკემბერს გავაფორმეთ შრომითი ხელშეკრულებები ცალკეულ ფეხბურთელებთან...

— ბატონო გივი, იქნება თქვენს გუნდში უმაღლესი ჩაკეთის მწვერვალზე ერთ-ერთი საუკეთესო მწვერვალზე ბრძანდებოდით და ეს არა მარტო ჩვენი აზრია...

— შარშან, სეზონის დამთავრების შემდეგ, 5 დეკემბერს გავაფორმეთ შრომითი ხელშეკრულებები ცალკეულ ფეხბურთელებთან და თითქმის ყველა მათგანმა 2-3 წლიანი კონტრაქტის მოაწერა ხელი...

შენდობის ბასნორება

ჩვენი გაზეთის 1991 წლის 7 მარტის ნომერში (27) დაიბეჭდა

მინევეთ ფარდაგობის მსოფელა

მათ, ვინც იცის ფარდაგობის ქსოვა (სასურველია დამთავრებულ ჰქონდეს მ. თოდის სახელობის საშუალო სკოლის სასწავლებელი), სამუროდ იწვევს მცირე საწარმო „ლაშარი“...

ამირან თავართქილაძე

საბჭოთა სპორტი

კოლექტიური სარგებლობის საინფორმაციო  
გამოთვლითი ცენტრი  
**გთავაზობთ**



— წიგნების —  
— გაზეთებისა და ჟურნალების —  
— რეკლამებისა და პლაკატების —  
— ბლანკების —

**აწყობა — დაკაბადონებას.**

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები უახლესი  
კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით თქვენს დაკვეთას  
დროულად და უნაკლოდ შეასრულებენ.

აწყობა-დაკაბადონება ხდება ქართულ, რუსულ და  
ინგლისურ ენებზე თქვენს მიერ შერჩეული შრიფტებით.  
ცენტრი შემოგთავაზებთ შრიფტების ფართო  
არჩევანს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, წერეთლის 130.  
ტელეფონი: 35-26-44

## მოუმიოლათა განსხვავება

წლეულს, იანვრის თვეში, მსო-  
ფლიო საზოგადოებას ეუწყა ქა-  
ლაქ მოსკოვში, საქართველოს რე-  
სპუბლიკის წინისტრთა საბჭოს მუ-  
დმივ წარმომადგენლობაში, დიქტა-  
ტურის დამყარების საფრთხისა და  
პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის 1991  
წლის 7 იანვრის ბრძანებულების  
საწინააღმდეგოდ გამოცხადებული  
პოლიტიკური შიმშილობის შესა-  
ხებ. სპარსეთის ყურეში დაწყებუ-  
ლი ომის გამო, წლეულს, იანვარ-  
ში გამოცხადებული შიმშილობა,  
მორალური მოსაზრებით, შეწყდა.

რადგანაც ისევ გრძელდება ოსი  
ექსტრემისტების დანაშაულებრივი  
მოქმედება სამაჩაბლოში და საბ-  
ჭოთა არმიის დახმარებით იხინი  
კვლავ მიმართავენ ქართველი და  
ოსი მოსახლეობის ტერორს უძვე-  
ლესი ქართული მიწაწმინდან —  
სამაჩაბლოდან ძირძველი მოსახ-  
ლეობის განდევნის მიზნით, ჩვენ  
11-17 იანვრის პოლიტიკური შიმ-  
შილობის მონაწილენი, ვანახლებთ  
საპროტესტო აქციას. ჩვენი მოთ-  
ხოვნებია:

1. შეწყდეს სამაჩაბლოში ოსი  
ექსტრემისტების ტერორი ქართვე-  
ლი მოსახლეობის წინააღმდეგ. და-  
უყოვნებლივ დაიწყოს მათი განი-  
არაღება;
2. არ დაეუშვათ საქართველოს  
რესპუბლიკის ტერიტორიული და-  
ნაწევრება;
3. შეწყდეს მახობრივი ინფორ-  
მაციის საშუალებებით საზოგადო-  
ების დეინფორმაციისა და ქართ-  
ველი ხალხის ლანძღვის სამარცხ-  
ვინო კამპანია;
4. შეწყდეს საბჭოთა არმიის  
შხრივ ოსი ექსტრემისტების იარა-  
ღით მომარაგება.

ვაცხადებთ რა ჩვენს მოთხო-  
ვნებს, ვაცით, რომ საქართველოს  
საწინააღმდეგო კამპანია ინსპირი-  
რებული და წაქეზებულია ცენტ-

რის მიერ საკუთარი ინტერესების  
განხორციელების მიზნით. წამოწ-  
ყებული კამპანიის მიზნები კი არის  
საქართველოს პარლამენტისა და  
მთავრობის მტკიცე გადაწყვეტი-  
ლება სახელმწიფოებრივი დამოუ-  
კიდებლობის აღდგენისა, რომელიც  
არ ეხამება „საბჭოთა საზოგადო-  
ების სოციალისტური გარდაქმნის“  
გეგმას. ჩვენი აქცია მიმართულია  
დიქტატურის დამყარების საწინააღ-  
მდეგობისა და ხალხების და მოქალაქე-  
ების უფლებების შელახვის წინააღ-  
მდეგ.

პოლიტიკური შიმშილობის მო-  
ნაწილენი:

**ვალტერ შურაბია,**  
საქართველოს რესპუბლიკის  
უზენაესი საბჭოს დეპუტატი  
**გიო თბილისი,**  
ქურნალისტი  
**ეთერ შუპანია,**  
ექიმი.

## გსურთ მიიღოთ ტელეგადაცემა თანამგზავრის საშუალებით?

შეიძინეთ კოოპერატივი „გორდა“-ს საინფორმაციო გამოშვება, სადაც თქვენ გაეცნობით:  
სად და როგორ, რა ფასებში შეიძინოთ სატელევიზიო თანამგზავრის მიმღები ანტენა? აქ  
მოყვანილია კოოპერატივების, ფირმებისა და საწარმოების მისამართები, რომლებიც აწყობენ,  
ჰყიდნიან ან აგზავნიან მიმღებ ანტენებს. აგრეთვე ის საწარმოები, რომლებიც გზავნიან  
მაკომპლექტებულ დეტალებს, რაც უფრო იაფი ჯდება. გამოშვების ღირებულებაა 8 მან.  
კოოპერატივი საჭიროების შემთხვევაში გაგიწევთ საშუაშაგლო მომსახურებას ანტენის  
შემქნაში.

რა არის სათანამგზავრო ტელევიზია? როგორ გამოვიანგარიშოთ საჭირო დიამეტრი  
მიმღები ანტენისათვის? როგორი უნდა იყოს ანტენა პარაბოლური თუ პლანარული? როგორ  
შევადგინოთ სქემები კოლექტიური მიღებისათვის? საინფორმაციო გამოშვებაში მოყვანილია  
საზღვარგარეთის თანამგზავრების სიმძლავრის დონეები, მომსახურების ზონები,  
რეტრანსლათორის სინშირები, სატელევიზიო სტანდარტები. აქ თავმოყრილია ყველა ის  
შეკითხვა თუ ინფორმაცია, რაც ამომწურავ პასუხს გაგცემთ აქამდე თქვენთვის უცნობ  
სფეროში წამოჭრილ პრობლემებზე. გამოშვების ფასია 14 მან. საინფორმაციო გამოშვება  
გამოგვეზავნებათ მას შემდეგ, რაც საფოსტო გზავნილით მივიღებთ აღნიშნულ თანხას  
მისამართზე: 383230 ქ. ლავოდეზი, რუსთაველის ქუჩა, № 89, კოოპერატივი „გორდა“.

სარეკლამო სააგენტო  
„არგო-ბლიკი“

## სამუშაოდ ვიწვევთ

ქართულ ენაზე მბეჭდავებს, რომლებიც იმუშავენ  
ხელშეკრულებით მათთვის სასურველ დროს.  
ცნობებისათვის დარეკეთ 35-26-44  
ჩვენი მისამართი: წერეთლის 130.

## ვიპდინარეობს მიღება

მსუბუქი ავტომობილების მძღოლთა მომზადების მოკლევადიან  
კურსებზე.  
ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 68-39-30 (14.00 სთ-დან  
19.00 სთ-მდე).  
მისამართი: გლდანის მე-3 მ/რ, კორპუსი 74.

საბავშვო სააგენტო  
„არგო-ბლიკი“

## ყურადღება!

საქართველოს ეკონომიკური  
აღორძინების კავშირის ახლად ჩა-  
მოყალიბებული სიმღერისა და ცე-  
კვის ფოლკლორული კომერციული  
ასსამბლი „ეგრისი“ ატარებს კო-  
ნკურსს მოცეკვავეების მისაღებად.  
ვაკანტური ადგილები 4 გოგო,  
3 ბიჭი, ააკი IC-დან — 27 წლა-  
მდე.  
კონკურსი მოეწყობა 19 მარტს  
თბილისის 162-ე სკოლის შენობა-  
ში 11 საათზე (ბასტიონის ქუ-  
ჩა), (საცეკვაო დარბაზში). კო-  
რეოგრაფია ვახო კუონია, კომერ-  
ციის დირექტორი — გიორგი გო-  
ლიაძე.  
ცნობებისათვის დარეკეთ 68-14-  
33.

# ოქტოზანი

## მოქალაქეთა და ორგანიზაციათა სა ყურადღებოდ!

იჩაბრეთ! შეიძინეთ „ივერტანის“ აქციები!  
აქციები დაიცავს თქვენს სასხრავს მოსალოდნელი ფულადი ანაზრებისა  
და ფონდების ანაზრებზე გაყიდვისას! აქციები შეიძინეთ რო-  
გორც ნაღდ ანაზრებზე ისე გადარიცხვით. აქციების ნომინალური ღირებუ-  
ლებაა ათასი მანეთი, ათი ათასი და ასორმოდდაათი ათასი მანეთი.  
აქციების შექმნაში უპირველესობა ენიჭება „ივერტანის“ კლიენტებსა და  
მეანაზრებებს!  
იჩაბრეთ! გაყიდულ ანაზრებს ყოველთვის ჯოგია მოძრავი აქციები!  
იჩაბრეთ! ყოველწლიურად თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ არანაკლებ 10%  
მოგება (დივიდენდები)!  
ჩვენი მისამართი: 380008 ქ. თბილისი ჯორჯიაშვილის ქ. 14.  
ტელეფონი: 99-52-40, 99-57-21.

**სალომონი**  
საქართველო  
Общество - Политическая  
группа

ტელეფონები: მხადეზი — 98-97-81;  
პანუსხველელი მღვიანა — 98-81-58;  
წერეთლის განყოფილება — 98-98-88.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამოცემლობა „სამშობლოს“ ტბაშა, თბილისი,  
მ. კოსტავას 14, იხელება იფუნტურა წესით ხავსეთო კორპუსში, ხაშარაულის 29.  
№ 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15  
Наш индекс 66400

რედაქტორი  
**ვარა პალაჩიშვილი**

რედაქციის მისამართი  
ქ. თბილისი — 380096.  
მ. კოსტავას ქ. № 14.